]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2801
02/08/2016

2801-01-4-201608021129

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
/მიწის ნაკვეთები/ პირობებით პრივატიზებისათვის ელექტრონული აუქციონის
გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 თებერვლის №127 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /მიწის ნაკვეთები/ პირობებით პრივატიზებისათვის დანართი №1-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

2.დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /მიწის ნაკვეთები/ ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №2-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

3.ელექტრონული აუქციონის პროცესი უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ.

4. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge.

5.ცნობად იქნეს მიღებული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, მყიდველის მიერ ქონების საბოლოო საფასურის დარჩენილი თანხის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს 2 /ორი/ წლიანი უპროცენტო განვადებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძენილ უძრავ ქონებაზე მესაკუთრე განახორციელებს სასტუმროს ტიპის ობიექტის მშენებლობას, რომლის სასტუმრო ოთახების რაოდენობა იქნება ოცი ან მეტი.

განვადების ვადა აითვლება პირობადადებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან. პირობიანი აუქციონის ფორმით, ქონების განკარგვასთან დაკავშირებული კონკრეტული პირობების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. ამასთან, განვადებით გადასახდელი თანხის არანაკლებ 50%-ის გადახდა უნდა განხორციელდეს პირობადადებული საკუთრების მოწმობის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში.

6.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ.№11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი